# ხელშეკრულება № 305

ქ.გურჯაანი  იანვარი 2019 წელი

ერთი მხრივ შპს „პროფილაქტიკური დეზინფექციის სამსახური'"(მისამართი: ქ.გურჯაანი. რუსთაველის 20 ) მისი დირექტორის ელენე ქურთიაშვილის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), მეორე მხრივ, ჩუმლაყის საჯარო სკოლა. (მისამართი: სოფელი ჩუმლაყი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეა უცუნაშვილი-ნაცვლიშვილი სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

## 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურეობა" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ჩუმლაყის საჯარო სკოლის შენობის სანიტარული ღონისძიებების (მავნებლებთან ბრძოლა დერატიზაცია მომსახურეობის უზრუნველყოფა. CPV კოდი 90900000.

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში დასახელებული სამუშაოები:

| სამუშაოს დასახელება | ფიზიკური ფართობი 1000მ $^2$–ში | დამუშავების ჯერადობა წელიწადში | ოპერატიული ფართობი | ზომის ერთეული დამუშა. ფასი | ოპერატიული ფართობის დამუშავების ღირებულება ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დეზინფექცია | | | | | |
| 2.დერატიზაცია | 2,0 | 12 | 24,0 | | 250 |
| 3.დეზინსექცია დაფრთიანებული ბუზების წინააღმდეგ. | | | | | |
| 4.ტარაკნები და მწერები. | | | | | |
| სულ: | 2,0 | 12 | 24,0 | | 250 |

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულებით დერატიზაციის ღირებულება შეადგენს: 250 (ორასორმოცდაათი ) ლარს. დეზინფექციის და დერატიზაციის გადახდა მოხდება შესრულებული სამუშაოს მ,იხედვით

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გამოყოს პასუხისმგებელი პირი, რომელიც გააკონტროლებს შემსრულებლიების მიერ ჩატარებულ სამუშაოებს და დაადასტურებს ხელმოწერითა და ბეჭდით წარმოდგენილ განრიგში, გამოყოს საკონტროლო ჟურნალი რომელშიც დაფიქსირებული იქნება დეზინფექტორის მიერ ჩატარებული სამუშაო ,გამოყენებული შხამ-მასალა , დადასტურდეს დეზინფექტორის ხელის მოწერით.

4.2 შემსყიდველს არა აქვს უფლება მოითხოვოს მორიგი დამუშავებისას, აუცილებლად ჩატარდეს მუშაობა ობიექტის მთელ ფართობზე რაზედაც დადებულია ხელშეკრულება, თუ ცენტრის ჩვენებით ეს საჭირო არ არის.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურეობა ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.5 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახეეობა სრული მოცულობით და დათქმულ ვადებში.
4.6 მიმწოდებელი ვალდებულია ჩაატაროს მუშაობა თანამედროვე მოქმედი ნორმატიული აქტების, მეთოდოკისა და ინსტრუქციების მიხედვით.
4.7 სისტემატურად შეისწავლოს ობიექტის სანტექნიკური მდგომარეობა. შემსრულებლის მიერ მიცემული წინადადებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სადეზინფექციო სამსახური იხსნის პასუხისმგებლობას პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ეფექტურობაზე.
4.8 მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლაზე ფართობში უნდა შევიდეს როგორც საცხოვრებელი ასევე არასაცხოვრებელი ფართობები: სარდაფები, საკუჭნაოები, სამზარეულო, დერეფანი, კიბის ტიხარი და სხვა დამხმარე სათავსოები.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით
5.2. მიმწოებელთან ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურეობის აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტის, ინვოისის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
5.3 ხელშეკრულების ცალმხრივი გაუქმების შემთხვევაში დამნაშავე მხარე იხდის მთლიანი ღირებულების 25 პროცენტის ოდენობით, ხელშეკრულების საერთო ჯამიდან.

## 6. მომსახურეობის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია ჩუმლაყის საჯარო სკოლა.

6.2. მომსახურეობის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.
6.3 თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე არც ერთი მხარე წერილობით არ გამოთქვამს მისი შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდება იგივე ვადით.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;
7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
7.5. ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;
7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 8. დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის

შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მარა არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლლდება ნაკისრი ვლდებულებისაგან;
8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 9. დავების გადაჭრის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მიმწოდებელი:**
შპს „პროფილაქტიკური დეზიფექციის სამსახური" ; ქ. გურჯაანი რუსთაველის 20 ს/კ427716073; სს „ლიბერთი ბანკის " გურჯაანის ფილიალი ბ/კ.LBRTGE22; ა/ა GE49LB0113113837619000; ტელეფონი 599 71 86 53; ელ ფოსტა profdezi2010@gmail.com

**შემსყიდველი:** ჩუმლაყის საჯარო სკოლა ს/კ 227752161 ტელეფონი:577–66–91–32
ელექტრო ფოსტა:tmazanishvili55@gmail.com

prophylaxis disinfectant service

Подписано цифровой подписью: prophylaxis disinfectant service
Дата: 2019.03.22 13:27:47 +04'00'

ჩუმლაყის საჯარო სკოლა

დირექტორი

თეა უცუნაშვილი